ტესტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტზე სამუშაოდ მოცემულია 3 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-22 (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა).

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

საილუსტრაციო მასალა დავალებებისათვის № 1-7

(1) **1. რომელი ქვეყნის/ქალაქის ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?**

ა) საქართველოს;

ბ) იერუსალიმის;

გ) რავენას;

დ) საბერძნეთის.

(1) **2. რომელი ტაძრის გაფორმების სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია წარმოდგენილი ნიმუში?**

ა) აია სოფიას;

ბ) სან ვიტალეს;

გ) გელათის;

დ) ჯვრის მონასტრის.

(1) **3. ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე (ძირითადი მონაკვეთი)?**

ა) ვიტრაჟი;

ბ) მოზაიკა;

გ) გობელენი;

დ) ფრესკა.

(1) **4. ტაძრის რომელ არქიტექტურულ ელემენტს ფარავს წარმოდგენილი ნიმუში?**

ა) გუმბათის ყელს;

ბ) ნართექსის კედელს;

გ) სამხრეთ ეკვდერის აღმოსავლეთის თაღს;

დ) საკურთხევლის აფსიდის კონქს.

(1) **5. რომელი მხატვრული თავისებურება *<u>არ არის დამახასიათებელი</u>* ილუსტრაციაზე წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშისთვის?**

ა) კომპოზიციური წყობის ფრონტალური და მონუმენტური ხასიათი;

ბ) კომპოზიციის ექსპრესიული ხასიათი, ფიგურების და სივრცის უტრირება;

გ) კომპოზიციის მკაცრი და გაწონასწორებული ხასიათი;

დ) კომპოზიციის რეპრეზენტაციული (სადღესასწაულო) ხასიათი.

(1) **6. რომელი მხატვრული თავისებურება *<u>არ არის დამახასიათებელი</u>* ილუსტრაციაზე წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშისთვის?**

ა) ფერადოვანი ლაქის ჟღერადობა;

ბ) სახეების სირბილე და სიცხადე;

გ) შუქ-ჩრდილის კონტრასტი;

დ) მკვეთრი კონტურული ნახატი.

(1) **7. რომელი მხატვრული თავისებურება *<u>არ არის დამახასიათებელი</u>* ილუსტრაციაზე წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშისთვის?**

ა) იკონოგრაფიული სქემის თავისუფალი გააზრება;

ბ) ფიგურათა გამოსახვისას თანაბარზომიერი რიტმი;

გ) ფერის, კონტურული ნახატისა და პოზის საშუალებით აქცენტირებული ცენტრალური გამოსახულება;

დ) ფიგურათა კეთილშობილური დიდებულება, გამოხატული მათ პოზებსა და გამომეტყველებაში.

საილუსტრაციო მასალა დავალებებისათვის № 8-14



(1) **8. ქანდაკების რომელი სახეობის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?**

ა) დეკორატიულ-გამოყენებითი;

ბ) მონუმენტური;

გ) კამერული;

დ) კინეტიკური.



(1) **9. რა მასალაშია შესრულებული ფოტოზე წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში?**

ა) ქვაში;

ბ) ბრინჯაოში;

გ) თიხაში;

დ) ხეში.



(1) **10. ჩამოთვლილთაგან რომელი კულტურის ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?**

ა) შუმერული;

ბ) ეგვიპტური;

გ) ასურული;

დ) ეგეოსური.



(1) **11. რომელი მახასიათებელი ავლენს რელიგიის მოთხოვნებთან წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის კავშირს?**

ა) ჰიპერრეალიზმი;

ბ) მამაკაცის სხეულის განსაკუთრებულ რაკურსში ასახვა;

გ) გარეგნულ თავისებურებებთან მაქსიმალური მიახლოება;

დ) იდეალიზაცია.



(1) **12. ჩამოთვლილთაგან რა ნიშანი *<u>არ ახასიათებს</u>* წარმოდგენილ ხელოვნების ნიმუშს?**

ა) მონუმენტურობა;

ბ) ფორმათა განზოგადება;

გ) მოუქნელი სხეული;

დ) თავისუფალი პოზა.





(1) **13. რომელი თავისებურება *<u>არ შეესაბამება</u>* ფიგურის აღწერილობას?**

ა) ფრონტალური ფიგურა წინ გადადგმული მარცხენა ფეხით არის წარმოდგენილი;

ბ) შემუშტული ხელი მჭიდროდაა მიკრული სხეულთან და წინ მიმართულ მზერასთან ერთად შინაგან დაძაბულობას გამოხატავს;

გ) მოდელირებული ფორმები, განსაკუთრებული რელიეფური ფაქტურით, ქანდაკების ზედაპირზე შუქ-ჩრდილის მკვეთრ თამაშს განსაზღვრავს;

დ) თვალები ინკრუსტაციის ტექნიკითაა შესრულებული და ძალიან მეტყველია.



(1) **14. რომელი პერიოდის ძველ ბერძნულ ქანდაკებებში ვხვდებით წარმოდგენილი ნიმუშისთვის დამახასიათებელ პოზას?**

ა) არქაულ;

ბ) მაღალი კლასიკის;

გ) გვიანი კლასიკის;

დ) ელინისტურ.

საილუსტრაციო მასალა დავალებებისთვის № 15-22



(1) **15. დააკვირდით ფოტოზე წარმოდგენილ ნაგებობას, მის კონსტრუქციას და შემადგენელ ნაწილებს. განსაზღვრეთ, რომელი სტილის არქიტექტურას მიეკუთვნება ის?**

ა) ეკოლოგიური;

ბ) მინიმალიზმის;

გ) ორგანული;

დ) დეკონსტრუქტივიზმის.



(1) **16. გაითვალისწინეთ სტილის ნიშნები და დაადგინეთ, ვინ არის წარმოდგენილი ნაგებობის არქიტექტორი?**

ა) ლე კორბუზიე;

ბ) სანტიაგო კალატრავა;

გ) ფრენკ გერი;

დ) ჟან ნუველი.

(1) **17. როგორი ტექნოლოგიით არის შესაძლებელი მსგავსი ნაგებობის აგება?**

ა) მყარი ლითონის მსხვილი ბადით შექმნილი კონსტრუქციისა და ტიტანის ფირფიტების, მინის და ქვის სინთეზით;

ბ) მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქციითა და მინის გამოყენებით;

გ) ხის კარკასული კონსტრუქციის, ლითონის სარტყლების და მინის სინთეზით;

დ) ლითონისგან წინასწარ, სახელოსნოში შექმნილი სეგმენტური მოდულების ადგილზე მიტანით და დამონტაჟებით.

(1) **18. მხატვრული თვალსაზრისით, რა ეფექტის შექმნის შესაძლებლობას იძლევა გამოყენებული მასალით ნაგებობის აგება?**

ა) ტიტანის ზედაპირის ხვეულებზე ირეკლება ამინდის შესაბამისი სინათლე და სხვადასხვაგვარი ცა, რაც შენობის მრავალფეროვნებას, სიმსუბუქეს განსაზღვრავს და დინამიზმს სძენს მას;

ბ) ფერადოვან აქცენტებად ჩასმული დიდი მინის ვიტრაჟების ასიმეტრიული განაწილება და ქვის ფილების მონაცვლეობა ფერწერული ეფექტის შესაქმნელად არის გამოყენებული;

გ) მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქციისა და მინის საშუალებით ზედაპირის გამჭვირვალე, წყლისებრი ფაქტურა იქმნება, რაც ნაგებობას მღელვარების შეგრძნებას სძენს;

დ) ბუნებრივი მასალის - ხის და მასთან ერთად ქვის და ლითონის სარტყლების გამოყენება, ლანდშაფტთან მიახლოების ეფექტის შექმნას ემსახურება.

(1) **19. რომელი თავისებურება *<u>არ ახასიათებს</u>* წარმოდგენილ ნაგებობას?**

ა) რთული ფორმიდან გამომდინარე, სხვადასხვა ხედვის წერტილიდან ნაგებობა განსხვავებულად აღიქმება;

ბ) ნაგებობის მოცულობები მრუდე და ტეხილ ფორმებად სეგმენტირდებიან და უჩვეულო კონსტრუქციას ქმნიან;

გ) დეტალების ზომა და ფორმა, წონასწორობის და ბალანსის პრინციპის გათვალისწინებით, მკაცრად ერთნაირია;

დ) მართალია, არქიტექტორმა ნაგებობას აბსტრაქციული ფორმა მიანიჭა, თუმცა სხვადასხვა ორგანულ ფორმასთან ასოცირდება.

(1) **20. რომელი ფორმულირება შეესაბამება ლანდშაფტისა და ნაგებობის ურთიერთმიმართების თავისებურებას?**

ა) მდინარის სანაპირო, ხიდები და შენობის კონსტრუქცია ჰარმონიულ მთლიანობას ქმნის, რითაც ნაგებობის გამომსახველობა ძლიერდება;

ბ) ნაგებობისთვის სპეციალურად შექმნილი ქვის მაღალი სუბსტრუქცია გამოჰყოფს ნაგებობას ქალაქის გარემოდან და მის მნიშვნელობას აძლიერებს;

გ) არქიტექტორმა ბუნება ნაგებობის კონსტრუქციის ნაწილად გაიაზრა, რაც ურბანულ განაშენიანებაში მწვანე კუნძულის შექმნის კარგი მცდელობაა;

დ) ლანდშაფტზე საუცხოოდ მორგებული ნაგებობა ჰარმონიულ მთლიანობას ქმნის ქალაქის მთელ განაშენიანებასთან.

(1) **21. ვიზუალური ხელოვნების რომელი დარგის მხატვრული შესაძლებლობების გათვალისწინებით გაიაზრა ნაგებობის სტრუქტურა არქიტექტორმა, რაშიც აზროვნების ახალი საზღვრები აისახა?**

ა) სკულპტურის;

ბ) მოზაიკის;

გ) ინსტალაციის;

დ) ლენდარტის.

(1) **22. რომელი ფორმულირება შეესაბამება არქიტექტორის დახასიათებას ნაგებობის შექმნასთან მიმართებით?**

ა) მან არქიტექტურის ენას თითქოს მარწუხები შემოხსნა, აამეტყველა, გახადა ის თვითკმარი, რაც ნაგებობის სრულიად თავისუფალი და პლასტიკური ფასადის საშუალებით გამოვლინდა;

ბ) არქიტექტორმა შეიმუშავა ახლებური ტექნოლოგია, შეეცადა გეგმარებისას კომპიუტერული პროექტირების გამოყენებას სტრუქტურული ელემენტების განსხვავებული დატვირთვის გასაანგარიშებლად, რაც ვერ განახორციელა;

გ) არქიტექტორმა გაიაზრა რა ნაგებობის ფუნქცია, ინტერიერსა და ექსტერიერს შორის კავშირს დიდი მნიშვნელობა მიანიჭა - შიდა სივრცის თავისებურებამ გარე მასების კონფიგურაცია განსაზღვრა;

დ) არქიტექტორის მიერ ნაგებობის გეგმარებაში, მისი კონსტრუქციის გააზრებაში ერთმანეთს შეუთავსა ტრადიციული და ინოვაციური, სადაც ტრადიციულს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა.

დავალებები № 23-29. წინადადების შევსება

ინსტრუქცია: დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც ერთი ან რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. წინადადებაში გამოტოვებული სიტყვების ნაცვლად ხაზებია. თითოეული წინადადება სიტყვებით ისე უნდა შეივსოს, რომ აზრობრივად გამართული, ჭეშმარიტი მტკიცებულება მივიღოთ.

ნიმუში: სახვითი ხელოვნების ელემენტს, რომელიც გამოსახულების ზედაპირის თავისებურებას გამოხატავს, *ფაქტურა* ეწოდება.

(1) **23.** დაზიანებული ძეგლის პირვანდელი სახით აღდგენას _____ ეწოდება.

(1) **24.** _____ ნიშნავს ხელოვნების ნიმუშის პირვანდელ, დედნის შესაბამის სახეს.

(1) **25.** ხელნაწერი წიგნის შემამკობელი პატარა ზომის ხელით შექმნილი სურათი არის _____.

(1) **26.** მრავალჯერადი გამოყენებისთვის შექმნილი გამოსახულების ან წარწერის მზა ნიმუშს, შაბლონს _____ ეწოდება.

(1) **27.** _____ მეთოდი ლიტერატურასა და ხელოვნებაში მიზნად ისახავს სინამდვილის ობიექტურ ასახვას.

(1) **28.** _____ არის გამოსახულების გამარტივებული, პირობითი, დეკორატიული ხერხებით გადმოცემა, გარკვეული თვალსაზრისით მისი სახეცვლა, განსხვავებული მნიშვნელობის, მეტი გამომსახველობის, უნიკალურობის და სასურველი ესთეტიკური ეფექტის შექმნის მიზნით.

(1) **29.** სვეტებს, რომელსაც ქალის ფორმა აქვს _____ ეწოდება.

დავალება 30 - 37. „ჭეშმარიტია-მცდარია“

ინსტრუქცია: შეაფასეთ ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული მტკიცებულება და მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. თუ მიიჩნევთ, რომ მტკიცებულება მცდარია, **საგანგებოდ გამოყოფილ არეში ჩაწერეთ მცდარად შეფასებული მტკიცებულების სწორი ფორმულირება. მხოლოდ მცდარის შესაბამისი უჯრის მონიშვნის შემთხვევაში პასუხი სწორად არ ჩაითვლება.**

შენიშვნა: თუ ფიქრობთ, რომ ფორმულირება მცდარია და თვლით, რომ მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი დატოვეთ და იმავე განმარტებისთვის მოძებნეთ და მიუსადაგეთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა.



(1) 30. ძველი თბილისური სახლებისთვის ხის ჭვირული აივნებია დამახასიათებელი.

(1) 31. ხაზი, შტრიხი, კონტური, ლაქა ფერწერის ძირითადი სახვითი საშუალებებია.

(1) **32.** ატენის სიონი, არქიტექტურული გეგმარებით და პროპორციებით, მცხეთის ჯვრის ტაძარს მოგვაგონებს.

(1) 33. ავანგარდის ეპოქაში ევროპული ფერწერის წარმომადგენლების ინტერესის ძირითად საგანს ისტორიული და რელიგიური თემები წარმოადგენდა.

(1) **34.** ხელოვნების დარგები კლასიფიცირდება თემატურად და გარკვეულ კანონს და მოთხოვნებს ემორჩილება.

(1) 35. მსოფლმხედველობისა და ესთეტიკური იდეალების საფუძველზე ყალიბდება მხატვრული სტილი, რომელსაც სახვითი ხერხებისა და საშუალებების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სისტემა განასახიერებს.

(1) **36.** მომთაბარე ინდიელების ერთ-ერთ ტრადიციულ საცხოვრებელს ვიგვამი ეწოდება.

(1) 37. დორიული ორდერის ტაძარზე ფრიზის ოთხკუთხა მონაკვეთს, რომელზედაც რელიეფი გამოისახება, ტრიგლიფი ეწოდება.

წერითი დავალებების ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.
ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.
ოთხივე წერით დავალებას თან ახლავს მითითებები. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ ნაშრომი აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი.
ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (საკუთარი მოსაზრებების მაგალითებით დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.
მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული, აზრი გასაგებად გამოხატული.
გადაიტანეთ ნაშრომი პასუხების ფურცელზე.
პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

(6) **დავალება № 38. დაადგინეთ შესაბამისობა.**

ინსტრუქცია - სურათზე წარმოდგენილი ფერწერული ნამუშევრის შესაქმნელად გამოყენებულია სახვითი საშუალებები და ხერხები, რომელთა დასახელებები მოცემულია ჩამონათვალში:



ა. ინტენსიური ფერი;
ბ. სინათლე;
გ. ათინათი;
დ. შუქ-ჩრდილი;
ე. ჩრდილი;
ვ. დაცემული ჩრდილი;
ზ. კონტური;
თ. რეფლექსი.

ჩამონათვალში სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების 8 დასახელებაა მოცემული. 6 მათგანი მითითებულია სურათზე. შეუსაბამეთ ჩამონათვალს სურათზე მითითებული მხატვრული საშუალებებისა და ხერხების აღმნიშვნელი რიცხვები და შესაბამისი უჯრედი პასუხების ცხრილში X-ით მონიშნეთ. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

(4) **დავალება № 39**. მიაკუთვნეთ წარმოდგენილი ქანდაკების ნიმუში გარკვეულ მხატვრულ ეპოქას ან/და მიმდინარეობას. ხელოვნების ნიმუშის და თქვენ მიერ დასახელებული პერიოდისთვის დამახასიათებელ მხატვრულ ნიშნებზე არგუმენტირებული მსჯელობით გაამყარეთ თქვენი მოსაზრება.

შეასრულეთ წერითი დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

1. გააანალიზეთ წარმოდგენილი ქანდაკების მხატვრული თავისებურებები;
2. მიაკუთვნეთ თქვენ მიერ გაანალიზებული თავისებურებების მიხედვით ქანდაკება მხატვრულ სტილს/ეპოქას;
3. განმარტეთ თქვენ მიერ დასახელებული მხატვრული სტილის/მიმდინარეობის ზოგადი თავისებურება;
4. იმსჯელეთ სტილის/ეპოქისა და ქანდაკების მხატვრულ-სტილურ შესაბამისობაზე.

(4) **დავალება № 40.**

- რომელი ეპოქის არქიტექტურის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?
- წარმოაჩინეთ თქვენ მიერ დასახელებული ეპოქის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი მხატვრული ნიშნები;
- გააანალიზეთ წარმოდგენილი ნაგებობის არქიტექტურული თავისებურებები და განსაზღვრეთ თქვენ მიერ დასახელებულ ეპოქასთან მისი მიმართება;
- დაადგინეთ წარმოდგენილი არქიტექტურული ნაგებობის შექმნის ისტორიული პერიოდი.



მატიას გრუნევალდი. ჯვარცმა. 1524 წ.



ემილ ნოლდე. ჯვარცმა. 1912 წ.

სალვადორ დალი. ჯვარცმა. 1951

(4) **დავალება № 41.** საილუსტრაციო მასალაზე წარმოდგენილი კომპოზიციების საფუძველზე იმსჯელეთ მხატვრულ გავლენებზე და კავშირებზე, ინტერპრეტაციისა და მხატვრული ენის შესაძლებლობებზე:

ა. რა იძლევა გავლენასა და/თუ კავშირებზე მსჯელობის შესაძლებლობას წარმოდგენილ კომპოზიციებში?

ბ. მიიჩნევთ თუ არა წარმოდგენილ ფერწერულ სურათებს ერთი-მეორის ინტერპრეტაციად?

გ. განასხვავეთ სურათების სახვითი ენა და განსაზღვრეთ მხატვრული სახის ხასიათი.

(15) **დავალება № 42.** გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული რეპროდუქციები და მითითებების 4 პუნქტის მიხედვით შეასრულეთ დავალება.

შეადარეთ სურათები.

1. ჯოტო. იუდას ამბორი. 1304-06 წწ.

2. მერაბ აბრამიშვილი. იუდას ამბორი



(5) 42.1. დააკვირდით წარმოდგენილ ნიმუშებს და დაახასიათეთ ისინი: ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშებია წარმოდგენილი? გააანალიზეთ წარმოდგენილი სურათების კომპოზიციური სტრუქტურა; რომელი სახვითი საშუალებები და სახვითი ხერხებია ავტორების მიერ გამოყენებული მხატვრული სახისა და ხასიათის შესაქმნელად?

1. ჯოტო. იუდას ამბორი. 1304-06 წწ.

2. მერაბ აბრამიშვილი. იუდას ამბორი



(4) 42.2. ხელოვნების თითოეული ნიმუში სტილური მახასიათებლების მიხედვით მიაკუთვნეთ მხატვრულ მიმდინარეობას/კულტურას. იმსჯელეთ ნაწარმოებების მსგავსებასა და განსხვავებაზე; როგორია ჯოტო დი ბონდონესა და მერაბ აბრამიშვილის მხატვრული მეთოდი? იმსჯელეთ მხატვრული სახის ხასიათისა და სახვითი ენის შესაბამისობაზ;

1. ჯოტო. იუდას ამბორი. 1304-06 წწ.

2. მერაბ აბრამიშვილი. იუდას ამბორი

(4) 42.3. განსაზღვრეთ, რა არის ის მნიშვნელოვანი საფუძველი, რაც ამ ორი მხატვრის შემოქმედების თავისებურებას განსაზღვრავს; განიხილეთ წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშები ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში; იმსჯელეთ, ახდენს თუ არა გავლენას ისტორიულ-კულტურული თავისებურებები ხელოვნების განვითარებაზე?

(2) 42.4. გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება ხელოვნების ნიმუშების მიმართ, დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.